

**ვაიჰოჰო - აღმოსავლეთი ტიმორის
(ტიმორ-ლესტეს) ფატალუკუს პოლიფონიური დუეტები**

შესავალი. მოხსენებაში განვიხილავ აღმოსავლეთ ტიმორის რესპუბლიკის უკიდურეს აღმოსავლეთში (ტიმორის კუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი) მცხოვრებ ფატალუკუს ენაზე მოსაუბრე ხალხში გავრცელებულ სასიმღერო ტრადიციას სახელწოდებით *ვაიჰოჰო*. ეს ტერმინი აღნიშნავს როგორც პოეტურ ტექსტებს, ისე ვოკალური მუსიკის იმ ჟანრს, რომელიც ამ ტექსტებს სიმღერის ტექსტებად იყენებს. *ვაიჰოჰო*. პოლიფონიურ დუეტებში სრულდება. ასეთი დუეტები ინდონეზიის არქიპელაგზე უკიდურესად იშვიათია. ინდონეზიაში ცნობილი ერთადერთი სხვა არაუნისონური დუეტის ტრადიცია აღმოსავლეთ ფლორესში, ფატალუკუს რეგიონიდან დასავლეთით დაახლოებით 500 კილომეტრში გვხვდება.

ვაიჰოჰო: ზოგადად. ვაიჰოჰოს შესრულების ტიპური ფორმატი ორი ან მეტი დუეტის მონაცვლეობით სიმღერაა. დუეტები შეიძლება შედგებოდეს ორი ქალის, ორი მამაკაცის ან შერეული წყვილისგან — მთავარია, რომ ისინი ერთსა და იმავე რეგისტრში მღეროდნენ.

დუეტებს ქმნიან მეგობრები, ნათესავები, ცოლ-ქმარი. დღესდღეობით უფრო მეტი ქალი მღერის, ვიდრე მამაკაცი. დუეტები, როგორც წესი, მრავალი წლისა და ათწლეულების განმავლობაში ინარჩუნებს სტაბილურობას. როდესაც დუეტის ერთი წევრი კვდება ან სხვაგან გადადის, მეორე წევრი ხშირად წყვეტს სიმღერას, ახალი დუეტის შექმნის ნაცვლად.

ვაიჰოჰოს ასრულებენ როდესაც დიდ მანძილზე ფეხით გადაადგილდებიან, მაგალითად, სოფლიდან მინდვრებში ან ქალაქში; მღერიან ინდივიდუალური, ერთდროულად მუშაობის დროს, როგორიცაა გამარჯვლა, კალათების ქსოვა ან საჭმლის ჯგუფურად მომზადება; ვაიჰოჰოს ასრულებენ, როდესაც უბრალოდ სხედან. ვაიჰოჰოს არ მღერიან რიტუალურ ღონისძიებებზე, არამედ მხოლოდ არაფორმალურ გარემოში. ქორწილში, ცერემონიის შემდეგ ან ნადიმის დროს, რამდენიმე ქალი შეიძლება კუთხეში იჯდეს და მღეროდეს ვაიჰოჰოს. მათ არავინ აქცევს ყურადღებას და არასდროს უკრავენ ტაშს.

ზეპირი ტრადიცია. ვაიჰოჰოს მელოდიები ზეპირ ტრადიციაში

არსებობს. არ არსებობს მელოდიების სტანდარტიზაციის ინსტიტუციური ან კულტურული საფუძვრები. ეს შესრულების უფრო მეტ თავისუფლებას იძლევა. დუეტები, რომლებიც რეგულარულად ერთად მღერიან, მელოდიების საკუთარ ვერსიებს ქმნიან, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმავე სოფელში სხვა დუეტების მიერ შესრულებული ვერსიებისგან და კიდევ უფრო მეტად — სხვა სოფლებში შესრულებული ვერსიებისგან. ამგვარად, არ არსებობს მელოდიების საბოლოო ვერსიები, არსებობს მხოლოდ უამრავი ვარიანტი. თუ ოდესმე იქნება ვაიჰოჰოს კოლექციების შექმნის მცდელობა, სკოლებში სწავლების მიზნით, მელოდიის ერთი ვერსიის არჩევა გარდაუვლად დადგება პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხი და მოჰყვება ერთი ტრადიციის დისკრედიტაცია მეორეს სასარგებლოდ.

მუსიკალური მახასიათებლები. მუსიკალურად, ვაიჰოჰო დუეტებია, რომლებიც ბურდონული პოლიფონიით ხასიათდება. ორივე ხმაში შეიძლება შეგვხვდეს წყვეტილი [პერიოდული] და მოძრავი [იგულისხმება სიმაღლის შეცვლა] ბურდონი. ბურდონი, როგორც წესი, სილაბურია [თითო ბგერა თითო მარცვალზე] და არა უწყვეტი. შესაძლოა იყოს პასაჟები ბურდონის გარეშე, სადაც ორი ხმა შერეული ან პარალელური ინტერვალებით მღერის. ტექსტის მარცვლები, უმეტეს შემთხვევაში, ორივე ხმაში ერთდროულად (ჰომორითმულად, სინქრონულად) წარმოითქმის. ვაიჰოჰოს უმეტესობა თავისუფალ მეტრში სრულდება. დუეტის ზედა ხაზი მთავარი ხმაა. ის, ჩვეულებრივ, რიტმულად უფრო აქტიურია, ვიდრე ქვედა ხმა, ორნამენტებით, შემომღერებებით, გამვლელი ტონებითა და მოკლე მელიზმებით. კონტრაპუნქტული ტექსტურა თითქმის არ გვხვდება, მაშინაც კი, როცა ბურდონი უწყვეტია და ხმები ერთმანეთს არ კვეთს.

ვაიჰოჰოს თვალსაჩინო თვისებაა ერთდროული სეკუნდების (როგორც წესი — მაჟორულის, ზოგჯერ — მინორულისაც) სიჭარბე.¹¹ ხშირად სეკუნდა უნისონიდან წარმოიქმნება, როდესაც ქვედა ხმა უნისონს გამოეყოფა და სეკუნდას ქმნის. ეს პრაქტიკა წააგავს იმას, რასაც ინგლისურენოვანი ავტორები ბულგარულ მოპური [მოპები — ეთნოგრაფიული ჯგუფი ბალკანეთში] მღერის ტრადიციაზე საუბრისას „სეკუნდების ძიებას“ უწოდებენ (ეს ტერმინი ნიკოლაი კაუფმანის მიერ შემოთავაზებული ბულგარული ტერმინის ინგლისური თარგმანია).

¹¹ სეკუნდებისთვის ტრადიციულ ტერმინებს — მაჟორსა და მინორს ვიყენებ. კარგი იქნებოდა უფრო ზუსტი გამოთვლები, მაგრამ მე არ მაქვს ამის შესაძლებლობა. ნეიტრალურ სეკუნდებზე წერს თამაზ გაბისონია (IRCTP VI), ხოლო ჯერალდ მესნერი (1981) ამტკიცებს, რომ მანუსში „სეკუნდები“ სინამდვილეში 80-დან 165 ცენტებს შორის დიაპაზონში მერყეობს. ჩემს ჩანაწერებში ვაიჰოჰოს ზოგიერთი სეკუნდა მკაფიოდ მაჟორულად/მინორულად უღერს, თუმცა სხვები ნეიტრალური ან იმ ტიპისაა, რომელზეც მესნერი საუბრობს.

სურათი 1. ვაიჰოჰოს მელოდიის — ფატა კულეს — ტრანსკრიფცია ორი ქალბატონის შესრულებით.

ბგერათრიგები. ვაიჰოჰოს მელოდიების ბგერათრიგები საკმაოდ ჰეტეროგენულია. 21 მელოდიისგან შემდგარ ნიმუშში არცერთს არ ჰქონდა იდენტური ბგერათრიგი. ბგერათრიგში საფეხურების რაოდენობა 5-დან 13-მდე მერყეობდა. თუმცა, ბგერათრიგების უმეტესობას გარკვეული კანონზომიერება ჰქონდა, კერძოდ, ფინალისის (დამაბოლოებელი ბგერის) გარშემო ცენტრალური ტონების (ბგერების) ბირთვი. თუ ფინალისი დოა (C), მაშინ ძირითადი ტონები იქნება სი ბემოლის (Bb), დოს (C) და რეს (D) რაიმე ფორმა (ჩვეულებრივ, რე ბეკარი). გარდა ამისა, როგორც წესი, გვხვდება ბირთვის ქვემოთ ლას (A) გარკვეული ფორმა, ხოლო ბირთვის ზემოთ მის (E) გარკვეული ფორმა. [სურათი 2].

ხშირად, მელოდიური ნოტების სერიაში ტერციის ინტერვალის შუალედი გვხვდება. საჭიროა შემდგომი საექსპედიციო კვლევა, რათა დადგინდეს ბგერათრიგებს შორის და მათ შიგნით არსებული ზოგიერთი ქრომატიული კონტრასტი წინასწარგანზრახულია თუ თავისუფალი ინტონირების შედეგია. თუმცა, ერთ მელოდიაში, რომელსაც მოხსენებაში განვიხილავ, ნახევარსაფეხურიანი კონტრასტები ნამდვილად განზრახ არის გაკეთებული [ილუსტრაცია 3].²²

მელოდიები. მთელ ფატალუკუზე მოლაპარაკე რეგიონის დუეტების რეპერტუარში დაახლოებით 25 მელოდიაა. თუმცა თითო სოფელში მათგან მხოლოდ სამი ან ოთხი იქნება გავრცელებული.

მელოდიები, როგორც წესი, უნისონში მთავრდება; ხშირად ზედა ხმა სულ ბოლოს უფრო ამაღლებს. ამის საპირისპიროდ, შიდა ფრაზები ხშირად მთავრდება დიდ სეკუნდაზე. ხმებს შორის მაქსიმალური მანძილი იშვიათად, თუ ასეთი საერთოდ ხდება, აღემატება კვარტას.

ტექსტები. ვაიჰოჰოს ყველა სტანდარტული ლექსი კუპლეთურია, რომლის თითოეული სტრიქონი მელოდიის ერთ ფრაზაზე იმღერება. ამგვარად, სრული ლექსისთვის საჭიროა მელოდიის ორი, არსებითად იდენტური ფრაზა, რომლებიც ერთმანეთისგან მხოლოდ შემთხვევითი ვარიანტებით განსხვავდება. უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული ლექსები კონკრეტულ მელოდიებზე არ არის მიბმული: ვაიჰოჰოს ნებისმიერი ლექსი ვაიჰოჰოს ნებისმიერ მელოდიაზე შეიძლება შესრულდეს.

²² აღნიშნული მელოდიის მოსმენა შეგიძლიათ იამპოლსკი 2022-ის აუდიო მაგალითებში (მაგ. 9), შემდეგ ბმულზე: <https://www.academia.edu/86751847/>. მასში წარმოდგენილი ტრანსკრიფციიდან ჩანს, რომ ტონალობა ნახევარი ტონით უფრო დაბალია, ვიდრე აქ მოყვანილ ილუსტრაციასა (N3) და მსჯელობაში.

შესრულება. როგორც უკვე ავღნიშნე, იდეალური შემთხვევა ორ ან მეტ დუეტს მოიაზრებს. ისინი მონაცვლეობით მღერიან. ერთი დუეტი იწყებს ვაიჰოჰოს ლექსის პირველი სტრიქონის მღერას, მის მიერ არჩეულ მელოდიაზე. შემდეგ მეორე დუეტი მღერის იმავე სტრიქონს, იმავე მელოდიაზე, რომელიც პირველმა დუეტმა აირჩია, ან სხვა ჰანგს ირჩევს. ორზე მეტი დუეტის შემთხვევაში, თითოეული მათგანი მონაცვლეობით იმეორებს ლექსის პირველ სტრიქონს მისთვის სასურველ ჰანგზე. შემდეგ, როდესაც ყველა მონაწილე დუეტი პირველ სტრიქონს იმღერებს, ის დუეტი, რომელიც იწყებს აღნიშნულ სერიას, ამჯერად ლექსის მეორე სტრიქონს მღერის და სხვა დუეტები ერთმანეთის მიყოლებით იმეორებენ მეორე სტრიქონს. თითოეული დუეტი მღერის მეორე სტრიქონს იმავე მელოდიაზე, რომელიც გამოიყენა პირველი სტრიქონისთვის — შუა ლექსში მელოდიების შეცვლა შეუძლებელია.

მას შემდეგ, რაც თითოეული დუეტი მეორე სტრიქონს იმღერებს, მთელი სერია თავიდან იწყება. თითოეული დუეტი თავისუფალია მელოდიის არჩევაში, თუმცა, როგორც წესი, ერთი დუეტი ოცი ან ოცდაათწუთიანი სასიმღერო სესიის განმავლობაში მისთვის საყვარელ მელოდიას ასრულებს. ზოგიერთი სესია უფრო მეტხანს გრძელდება.

სიმპოზიუმზე მე წარმოვადგინე სერიების მონაცვლეობა ოთხი დუეტის ჩანაწერით, რომლებიც ვაიჰოჰოს ლექსის პირველ სტრიქონს მღეროდნენ მელოდიაზე სახელწოდებით „ტინოლო ოლო“. თითოეულ დუეტს მელოდიისა და ბგერათრიგის გარკვეულწილად განსხვავებული ვერსია ჰქონდა, რაც ნათლად ადასტურებს ჩემს დაკვირვებას ზეპირი ტრადიციის მიერ დაშვებულ თავისუფლებაზე. ლექსის მეორე სტრიქონის გაგრძელების დემონსტრირების დრო რომ მექონდა, მაყურებელი მოისმენდა, რომ თითოეული დუეტი თავის ვერსიაში არსებითად თანმიმდევრული იყო. მნიშვნელოვანი კონტრასტები შეიმჩნეოდა სხვადასხვა დუეტების მიერ შესრულებულ ვერსიებს შორის და არა ერთი დუეტის იტერაციებს შორის.

აქ მოცემულ პარტიტურაზე (სურათი 2) მხოლოდ პირველი დუეტის ვერსია არის ნაჩვენები. პირველი დუეტი მღერის ზემოთ ნახსენებ ვერსიას, რომელიც ზემოთ ვახსენე და რომელიც ხასიათდება მელოდიის აშკარად განზრახული რაც კონტრასტს ქმნის სოლ-დიებს, ლა-ბეკარსა და ლა-დიებს შორის. სხვა დუეტები ამას გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ჰორუ კულე. სერიების მონაცვლეობით მღერა ვაიჰოჰოს შესრულების ფორმალური მეთოდი. თუმცა, არსებობს სხვა მეთოდიც. მას **ჰორუ კულე** ეწოდება და გულისხმობს მრავალი დუეტის ერთად მღერას კოორდინაციის განზრახ უგულებელყოფით. ის ესტონური სეტუს საქორწილო სიმღერებს წააგავს, რომლებიც ჟანა პარტლასმა 2020 წლის სიმპოზიუმზე აღწერა ტერმინით **პოლიმუსიკა**. ჰორუ კულეში ერთი დუეტი ვაიჰოჰოს ტექსტს პირველი სტრიქონის სიმღერით იწყებს. მაგრამ შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ თითოეული დუეტი რიგრიგობით, ერთმანეთის მიყოლებით იმეორებდეს სტრიქონს, ყველა დუეტი (დამწყების გარდა) პასუხობს სტრიქონის ერთდროულად სიმღერით, სხვადასხვა მელოდიაზე ან იგივე ჰანგზე. ამავე დროს, თითოეული დუეტი ცდილობს არ იყოს სინქრონიზირებული სხვებთან. მუსიკალურად ჟღერადობა ქაოტურია, თუმცა ყველა მომღერალი ერთსა და იმავე ტექსტს მღერის. ტექსტის მეორე სტრიქონისთვისაც იგივე სქემა მოქმედებს.

სიმპოზიუმზე ბრინჯის მოსავლის აღების დროს გაკეთებული ჩანაწერი გავაჟღერე. ლენვის შემდეგ (მარცვლების ღეროებიდან მოსაშორებლად), ქალები მიწაზე გაშლილ ხალიჩებზე მწკრივად სხედან და ხელში ბრინჯის მარცვლებით სავსე დაწნული ლანგრები უჭირავთ. ქალები ლანგრებს მკვეთრად მაღლა იქნევენ, რომ ბრინჯი ჰაერში აიფრქვეს. ქარი მტვერს აცლის და ბრინჯი ისევ ლანგარში ბრუნდება. მუშაობისას ისინი ჰორუ კულეს მღერიან. ჩანაწერში ხუთი დუეტი ჟღერდა.³³

დასკვნა. ინდონეზიის არქიპელაგზე პოლიფონიური დუეტების ტრადიციის არეალი შეზღუდულია და მხოლოდ აღმოსავლეთ ტიმორში ფატალუკუს ენაზე მოლაპარაკე და აღმოსავლეთ ფლორესში ლამოჰოლოტის ენაზე მოსაუბრე ხალხებში გვხვდება. არქიპელაგის დანარჩენ რეგიონებში წამყვანია სოლო (საკრავებით ან საკრავების გარეშე) ან საგუნდო შესრულება; ზოგჯერ კი — სოლისტისა და გუნდის ერთდროული მღერა. ქრისტიანული ჰიმნოდიის გავლენის ქვეშ მყოფი ტრადიციების გარდა, საგუნდო სიმღერების უმეტესობის ტექსტურა ჰეტეროფონური უნისონი (ერთხმიანობა). გაცილებით ნაკლებად არის გვხვდება ჰომოფონიური, არატრიადული ჰარმონია, ზოგჯერ ბურდონით.

ტიმორისა და ფლორესის რეგიონები მრავალი საგუნდო და სოლო ტრადიციებითაა გარშემორტყმული. ასეთი იზოლაციური გარემო ქართულ საგუნდო ტრადიციას მოგვაგონებს, რომელიც, როგორც მარინა ქავთარაძემ 2002 წლის სიმპოზიუმის პრეზენტაციაში აღნიშნა, ძირითადად მონოდიური

³³ ჰორუ კულეს სხვა ჩანაწერი (მაგ. 10) შეგიძლიათ მოისმინოთ 2022 წლის სტატიის აუდიო ნიმუშებში (იხ. შენიშვნა 2).

მუსიკალური კულტურებითაა გარშემორტყმული.

ვოკალური დუეტის კიდევ ერთი ტრადიცია ასევე გავრცელებულია შედარებით ვრცელ რეგიონში, თუმცა ის ახალი გვინეის გიგანტური კუნძულის მეორე მხარეს მდებარეობს, ადმირალის კუნძულებზე. ეს არის მანუსის ტრადიცია, რომელიც ჯერალდ მესნერმა აღწერა 2006 წელს ტმკსც-ის სიმპოზიუმზე. ის საკმაოდ განსხვავდება ტიმორული ვაიჰოჰოსგან, თუმცა უფრო მდიდარია ერთდროულად მუღერი სეკუნდებით, ვიდრე ვაიჰოჰო.

დაბოლოს, ფლორესისა და ტიმორის იმავე რეგიონებში, სადაც დუეტებით სიმღერა გვხვდება, არსებობს **ფლეიტაზე** დუეტის შესრულების ტრადიციები. საინტერესოა, რომ ეს ახალი გვინეის სეპიკის რეგიონშიც გვხვდება. სამივე ტრადიციაში ფლეიტის წყვილები სეკუნდის ინტერვალით არის აწყობილი. ვაიჰოჰოს მელოდიები ზოგჯერ ახლოსაა ფატალუკუს წყვილ ფლეიტებზე დასაკრავ ჰანგებთან. ამგვარად, შეგვიძლია ფრთხილად ვივარაუდოთ, რომ დუეტების ტრადიცია (საკრავიერიცა და ვოკალურიც) წარმოიშვა ახალი გვინეის მატერიკულ ნაწილში და შემდეგ გავრცელდა ორივე მიმართულებით: აღმოსავლეთით — ადმირალის კუნძულებამდე, დასავლეთით — ტიმორსა და ფლორესზე.

მინანური. ვაიჰოჰოს სიმღერას აქვს ერთი მნიშვნელოვანი და ძალიან უჩვეულო თვისება, რომელზეც ველარ მოვასწარი თქვენი ყურადღების გამახვილება. ეს ტექსტისა და მუსიკის კავშირს ეხება, კერძოდ კი იმას, თუ როგორ ხდება ტექსტის შეწყობა ვაიჰოჰოს მელოდიებთან. ეს საკითხი ცალკე აღვწერე მოხსენების დანართში. ამ კონფერენციაზე ჩემი ერთ-ერთი მოლოდინი ეხება ტექსტის მუსიკასთან შეწყობის პრაქტიკას იმ ტრადიციებში, რომლებშიც კონფერენციაში მონაწილე მკვლევრები ექსპერტები არიან.

გამოყენებული ლიტერატურა

- Duvelle, C., compiler. (2003). *Admiralty Islands, Papua New Guinea: Bipi, Manus*. Compact disc. (Prophet Collection 35.) Philips 472 507-2.
- Messner, G. F. (1981). The two-part vocal style on Baluan island, Manus province, Papua New Guinea. *Ethnomusicology* 25(3), 433–46.
- Messner, G. F. (1989). Jaap Kunst revisited: Multipart singing in three East Florinese villages fifty years later: A preliminary investigation. *The World of Music* 31(2), 3–48.
- Rappoport, D., compiler. (2010). *Indonésie: Chants des îles de Flores et Solor / Indonesia: Songs from the islands of Flores and Solor*. Compact disc. (AIMP [Archives Internationales de Musique Populaire] 95.) VDE Gallo CD 1304.
- Rappoport, D. (2011). The enigma of alternated duets in Flores and Solor (Eastern Indonesia). In Hägerdal, H. (Ed.), *Tradition, identity and history-making in Eastern Indonesia*, (pp. 130–48). Linnaeus University Press.
- Rappoport, D. (2013). Space and time in Indonesian polymusic. *Archipel* 86: 9–42.
- Yampolsky, P., compiler. 1995. *Vocal and instrumental music from east and central Flores*. Compact disc. (Music of Indonesia, 8.) Smithsonian Folkways SF 40424.
- Yampolsky, P. 2022. Poetic text and melodic text: Text-setting in two song traditions of Timor. *Asian Music* 53(1), 80–126. Audio examples at <https://www.academia.edu/86751847/>.